

მკითხაობის ფენომენის გაანალიზება ქართული პრესის მიხედვით

ანა წულაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა წულაია

19.06.2019

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება ქართული პრესის მონაცემების ანალიზს მისნობის, მარჩიელობისა და ექიმბაშობის შესახებ. კვლევა გულისხმობს საარქივო სამუშაოს, რომლის დროსაც შევისწავლე XIX საუკუნისა და საბჭოთა კავშირის პერიოდის ქართული ბეჭდური მედიის გამოცემები, როგორებიცაა: „დროება“, „თეატრი“, „ივერია“, „კომუნისტი“ და ა.შ.

კვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა სტატიებში დაბეჭდილი კორესპონდენციების, ფელეტონებისა და ახალი ამბების რუბრიკის გაანალიზებას, თუმცა ნაშრომს თან ერთვის რამდენიმე იუმორისტული ილუსტრაცია, რაც უფრო თვალსაჩინოს ხდის პრესის დამოკიდებულებას.

ნაშრომის ძირითადი მიზანია მკითხველს აჩვენოს, თუ რამდენად აქტუალური და პრობლემურია მისნობის პრაქტიკა ჩვენი საზოგადოებისთვის და როგორ არის ის ნაჩვენები ქართულენოვან პრესაში, რატომ წერენ გამოცემები ამ საკითხის შესახებ და რა შეიძლება იყოს მათი მიზანი.

მასალებიდან გამომდინარე, კვლევაში შესწავლილია, თუ რა ჯგუფს წარმოადგენენ მკითხველები საზოგადოებაში და რა არის მათი საქმიანობის თავისებურება. ასევე ჩანს მოსახლეობის დამოკიდებულება და თვითონ რედაქციის განწყობა მოცემული საქმიანობისადმი, რაც თითოეულ თავში თემატურად არის გაშლილი.

საერთო ჯამში, ნაშრომის დასკვნით ნაწილში გაზეთებისა და ჟურნალების მონაცემებზე დაყრდნობით გაანალიზებულია მისნობის პრაქტიკის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პრესა, მისნობა, მკითხველები, ექიმბაშები, საზოგადოება.

Abstract

The thesis aims to analyze the Georgian press data about sorcery, divination and quackery. The research is based on archival research, during which I have studied the Georgian printed media of the 19th century and the Soviet Union, among which are “Droeba”, “Teatri”, “Iveria”, “Komunisti.”

The main part of the research is focused on the analysis of the printed correspondence, feuilletons and news rubrics; although, several humorous illustrations are added to the thesis which better demonstrate the main message of the press.

The principal object of the thesis is to analyze how important and problematic the practice of sorcery for our society is and how it is demonstrated in the Georgian press; why the publications write about it and what might be their object.

Based on the research material, the thesis studies The role sorcerers play in society and the peculiarity of their work. The society’s attitude and the editors’ approach are also exhibited in the thesis and are thematically analyzed in every chapter.

Overall, in the final part of the thesis the psychological, economic and social factors of the practice of sorcery are analyzed based on the data provided by the newspapers and magazines.

Keywords: press, sorcery, divination, healers, society.